№ 236. 10 ნოემბერი, სამშაბათი. 1866—1881 10 ნოემბერი, სამშაბათი. № 236.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროების“-„ივერიის“ აგენტთან ა. ჭუთაისხ[illegible]თან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ.; [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ.; [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

წმ. გიორგის დღესასწაულის გამო, ხვალ, ოთხშაბათს, გაზეთი არ გამოვა.

---

სახაფხულო თეატრში

ოთხშაბათს, 11 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

მეორე აბონემენტის რიცხვში

## მომაკვდავნი

კომედია 4 მოქმედებად

თხზ. თ. გიორ. მიხ. შარვაშიძისა.

ფასები ჩვეულებრივი.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი $7\frac{1}{2}$ საათზე.

---

## ტელეგრამმა

(„კავკასიონ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 8 ნოემბერს. დასავლეთის გუბერნიებში სამიკიტნოების ზედამხედველობა, ექსპერტების გარდაწყვეტილებით, უნდა მიენდოს: ქალაქებში—ქალაქის გამგეობას და უეზდებში—ახლად დადგენილ კომისიებს.

ადმინისტრაციის წესით გადასახლებულთა თაობაზედ დანიშნული კამისია მუდამ შაბათობით იკრიბება: ოთხს კრებაში 300 საქმე განიხილეს.

**ვენა**. 8 ნოემბერს. ბოსნიაში აჯანყებაა; 6 ნოემბერს კატარის მაზრაში ხალხი აჯანყდა მთავრობა სასტიკ განკარგულებას ახდენს ამ აჯანყებულთ დასამშვიდებლად.

---

## აქაური სამღვდელოების ყრილობა

თფილისის ოკრუღის სამღვდელოთა დეპუტატთა ყრილობა 5 ნოემბერს დაიშალა. ყრილობის სხდომები 27 ღვინობისთვეს გახსნა საქართველოს არქიელმა.

უმთავრესი საგანი ყრილობისა, როგორც იციან „დროების“ მკითხველებმა, იყო სახლის ყიდვა ან ახალის აშენება სავაჟო სასულიერო სასწავლებლისთვის.

ამ სახლის საქმეზე არქიელმა ბევრი ილაპარაკა სხდომის დაწყებისათანავე. საზოგადოდ ამის აზრი ის იყო, რომ სახლის აშენება სამღვდელოებას გაუძნელდებაო, რადგან არა გვყავს ისეთი კაცი, რომ მივენდოთ მის ცოდნას და კეთილ-სინიდისიანობას, რომ ეს მძიმე საშვილი-შვილო საქმე მას დავავალოთ და აგვიშენოს მკვიდრი სახლი და ჩვენ გადმოგვცესო. ამიტომ, თუ აშენებულს ვიყიდით, ძალიან კარგი იქნებაო. ამის შემდეგ არქიელი წაბრძანდა და სხდომამ მ. ნანობოვის თავსმჯდომარეობით, შეუდგა საქმეს.

27-ს სულ ამ სახლის საქმეზე ლაპარაკობდნენ. წინანდელ სახლის მოსაპოებლად შედგენილის კამისიისგან წარმოდგენილ სხვა-და-სხვა სახლის პატრონების ქაღალდებს და პირობებს შინჯავდნენ. ამ შინჯვას თითქმის ორი დღე მოუნდნენ.

ბოლოს აღმოჩნდა, რომ სასწავლებლისთვის გამოსადეგი შენობა არც ერთი არ არის. ამის შემდეგ, თუმცა ყველას უნდოდა აშენებულ სახლის ყიდვა. მაგრამ სამღვდელოებამ ერთ-ხმად გადასწყვიტა ააშენოს თავის ხარჯით საკუთარი პედაგოგიურის მხრითაც სხვათრივ გამოსადეგი სახლი საეკკლესიო მიწაზე, ვერის იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიის ეზოში.

მერე მამანი შეუდგნენ ფულის გაწერას ეკკლესიებზე. არხიტექტორის ანგარიშით, კარგი სახლის აშენებას დასჭირდება 110,000 (ას-ათი-ათასი) მანეთი. ამ ფულიდგან არქიელმა უნდა ასესხოს სამღვდელოებას 50,000 მანეთი % (მგონი 3%); სხვა ფული უნდა შემოიტანოს სამღვდელოებამ წვრილ-წვრილად 4 წლის განმავლობაში.

ფულის გაწერამ დიდი დრო მოითხოვა. მღვდლები სცდილობდნენ გაეწერათ სამართლიანად, ეკკლესიებზე შეძლებისა-და-გვარად, და არ ეწყენინებინათ თავის მოძმეთათვის. ამ აზრის იყო თვით არქიელიც.

ამ ფულის გაწერის შემდეგ სამღვდელოების ყრილობამ განიხილა სმეტა (შემოსავალ-გასავლის ანგარიში) თფილისის სასულიერო სასწავლებლისა მომავალის 1882 წლისათვის. ზოგიერთი ცვლილებანი მოახდინეს ამ სმეტაში და დაამტკიცეს.

ბოლოს აწინდელის სასწავლებლის გამგეობის წევრებისა—პ. იმნაძესა და ი. სარიევის მაგიერად ამოირჩიეს ორი ახალი წევრი მათი კანდიდატებით და ყრილობა დაიშალა.

---

«დროების» ფელტონი, 10 ნოემბ.

## თეატრის ქრონიკა.

**მომაკვდავნი**—მიბაძვი ფრანცუზულისა, ოთხ-მოქმედებიანი კომედია—თ. გ. მ. შარვაშიძისა.

**სამშობლო** — ფრანცუზულიდამ ნათარგმნი ხუთ-მოქმედებიანი დრამა თ. დ. გ. ერისთვისა.

**ერთი ნაბიჯით წინ**—ოთხ-მოქმედებიანი კომედია—ავქ. ცაგარელისა.

თუმცა ჩვენს ახალ-გაზდა თეატრის გამგებელთ ძალიან გაუჭირდათ ცხოვრება, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ სასოწარკვეთილებაში არ ვარდებიან და ძალიან სასიამოვნო ახალ რამეებს გვიმზადებენ.

ამ ოთხშაბათისათვის მზადდება თ. გ. შარვაშიძის პიესა „მომაკვდავნი“. თუმცა ეს პიესა ჯერ არ დაბეჭდილა, არც წარმოდგენილა, მაგრამ ბოდიშს მოვიხდით ავტორის წინაშე და გაუზიარებთ მკითხველს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ამ პიესამ მოახდინა ჩვენზე, რადგან იმის დადგმა სცენაზე დიდს წინ-წადგმულს ბიჯს მოასწავებს.

დღემდინ ახალ-გაზდა დრამმატიული მწერლები ისეთ ნაირად ჩაურთავენ ხოლმე თავის პიესებში რომელსამე ტენდენციას, აზრს, რომ მაყურებელს სულს არ ამოათქმევინებენ, თავიდამ ბოლომდინ ძალად აჩხირებენ მაყურებლის ტვინში თავის პიესის უმთავრეს აზრსა.

ამიტომაც ყველა ამ გვარ პიესებს ერთ-ნაირი ბეჭედი ასვია: უშველებელი მონოლოგები მომქმედ პირებისა, სისუსტე თვით მოქმედებისა და ინტრიგისა.

თუმცა თ. შარვაშიძის პიესა ჩვენ ხელთ-ნაწერში წავიკითხეთ და იმის მხოლოდ ერთი რეპეტიცია ვნახეთ, მაგრამ ახლავე შეგვიძლია სიამოვნება უწინასწარმეტყველოთ იმის მომავალ მაყურებლებს.

რადგან თ. შარვაშიძის პიესა ოთხშაბათს, 11 ნოემბერს იქნება ჩვენს საზაფხულო თეატრზე დადგმული, ამის გამო საჭიროდ არა ვრაცხთ გავაცნოთ აქ მკითხველს იმის შინაარსი; მხოლოდ იმის უმთავრესს ხასიათს მოვიხსენებთ:

შესანიშნავად რთული ინტრიგა იწყება საძაველის ნიზლავით თ. ბრიგოლისა, რომელსაც ცხოვრება მოყირჭებია და არ იცის, როგორ გაატაროს დროება; შემდეგ ეს ინტრიგა უძლიერეს დრამმატიულ მოქმედებამდინ მიდის; ავტორი არ გვაჩხერს აქ თავის ტენდენციას, არ გვაჩეჩებს ვრძელის მონოლოგებითა და დიალოგებით თავის დასკვნას, მკითხველს მიანდობს—მოისაზროს და მიხვდეს, რომ ჩვენ იმ დროში ვართ, როდესაც სული ელევა ძველს რაინდობას, რომელიც მოკლებულია ომის ველზე ბრძოლასა და ამის გამო თავის მოქმედების ასპარეზის სივიწროვეს გრძნობს და ეძლევა სხვა-და-სხვა თავხედობას.

აქვე გამოყვანილია მთის კაცი, რომელშიაც თქვენ ჰხედავთ ჩვენ წინაპართა კეთილ-შობილურ ხასიათთა ნაშთს, რომელიც ახალს ცივილიზაციას ჯერ კიდევ არ შეულახავს არ გაურყვნია.

ამ გვარ კაცთან შეტაკებით თვით თ. ბრიგოლშიაც ილვიძებენ უკეთესი და უკეთილშობილესი გრძნობანი და მაყურებელი, რომელიც ადრე ზიზღით შესცქეროდა იმას, ახლა აპატიებს ყველა ნაკლულევანებას და თანაუგრძნობს.

მხოლოდ ავტორის სათაურს (მიბაძვააო) უნდა დავუჯეროთ, თორემ არც ერთი აქ გამოყვანილი პირი ჩვენ უცხო პირად არ გვეჩვენა, ყველა ჩვენი ტიპები არიან. მარტო ერთი სცენა—დუელისა—ფრანცუზულ ანუ საზოგადოდ ევროპიულ ცხოვრებიდამ ამოღებულ სცენასა ჰგავს, ამიტომ რომ ჩვენ დუელების არა ვიცით-რა: მეგრელი, იმერელი და გურული, თუ ამოიღებს ხანჯალს, იმისთვის კი არ ამოიღებს, რომ დუელზე გამოიწვიოს თავის მოწინააღმდეგე, არამედ იმისთვის, რომ ჩაჰკრას იმას მუცელში, ან გულში.

ფარისეველნი, რომელნიც ვიქადაგებენ, რომ რაც ჩვენს ცხოვრებაში ნაკლულევანება და სუსტი მხარე არის, დაფარული უნდა იყვესო, მხოლოდ კარგი მხარეები უნდა გამოვააშკარაოთო, უეჭველია, უკმაყოფილობას გამოაცხადებენ ავტორზე იმ დედა-აზრისათვის, რომელზედაც გამონასკულია პიესა; მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დაუმადლოთ ავტორს იმისთვის, რომ ის აშკარად და თამამად გვითითებს ჩვენს ნაკლულევანებებზედ.

ერთი სიტყვაც: ჩვენ გვაქვს უფლება მოვსთხოვოთ ამისთანა ავტორს, ავტორს, რომელმანც ამდენი დამკვირვებითი ნიჭი გამოიჩინა, რომ ის წვრილმანებშიაც კი არ ეწინააღმდეგებოდეს თავის თავს; მაგალითად: სრულიად მართალია, რომ სწავლა-შეუსრულებელი სტუდენტი, რომელიც ყოველგან თავის აქა-იქ მოტაცებულ ფრაზებით ეჩრება — ბევრად უფრო დაბლა დგას, ვინემ თვით ის რაინდიც, რომელიც მალე დონ-კიხოტად გადაგვარდება, მაგრამ ძალიან სამწუხარო იქნება, თუ მტერნი ახალ-თაობისა, რომელმაც დაბადა მოძრაობა სამშობლო ქვეყნისა და ენის სიყვარულისა, ამ ძონიაშვილზე მიათითებენ, და იტყვიან:— „—აი, თქვენი წარმომადგენელნიო!“

კიდევ ერთი შენიშნვაც: ინტრიგა პიესისა წერილზე არის დამყარებული; მაგრამ ეს წერილები ერთობ ხშირია, ერთობ დიდ როლს თამაშობენ, და ამის გამო შეიძლება სცენაზე არევ-დარევა მოხდეს.

დასასრულ ვისურვებთ, რომ ჩვენს ღარიბ რეპერტუარს შემდეგში არ მოკლებოდეს ზემოხსენებულ პიესის ნიჭიერ ავტორის შემწეობა.

## ახალი ამბები.

—

დღეს საქართველოს პატრონისა და მფარველის წმ. გიორგის დღესასწაული .

ყველგან დღესასწაულობენ ჩვენში ამ დღეს: კახეთში არის წმ. გიორგი ლალის-ყურისა , აფხაზეთში—ილორისა თფილისში—ქვაშვეთისა, იმერეთში—ხონისა და სხვა რამდენიმე.

საქართველოს გერბზე, როგორც მოგეხსენებათ, გამოხატულია წმიდა გიორგი, რომელიც თეთრ ცხენზე ზის და გველეშაპსა ჰკლავს შუბით.

საზოგადოთ წმ. გიორგის დღესასწაული ნამდვილ ნაციონალურ დღესასწაულად ჩაითვლება ჩვენში: ის ითვლება ისეთ ძლევა-მოსილ არსებად, რომლისაგან ხალხი ყოველ გაჭირებაში შველასა და დახმარებას მოელის, რომელიც იმის მხსნელია ყოველ გვარ გველეშაპისაგან...

*
* *

ამბობენ, რომ თფილისის სამხედრო გიმნაზიაში ყმაწვილების ავათმყოფობა არის გახშირებული. სხვათა შორის, როგორც გვითხრეს, შავი ყვავილით არისო რამდენიმე ყმაწვილი ავად. სამი თუ ოთხი ყმაწვილი მომკვდარა ამ ორი კვირის განმავალობაში და ამათ შორის თ. დიმ. წერეთლის 15-16 წლის ვაჟი მეექვსე კლასის შაგირდი, ძალიან მეცადინე და ნიჭიერი ყმაწვილიო.

თუ ყველა ეს, რაც გვითხრეს და რასაც აქა ვსწერთ, მართალია, ჩვენ გვიკვირს—რატომ მთავრობას დღემდინ არ დაუკეტნია დროებით ეს გიმნაზია და არ დაუთხოვნია შაგირდები.

*
* *

თფილისის ფოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ ამ ნოემბრის თვის 10-დამ ახალ-სენაკსა და ზუგდიდს შუა მუდამ დღე ივლის ფოჩტა; უბრალო წერილებსა და გაზეთებს ამ ორ დაბას შუა ომნიბუსით გაგზავნ-გამოგზავნიან, რომელიც ახალ-სენაკიდამ დილის 8 საათზე გავა ხოლმე და ზუგდიდიდამ კი ნაშუადღევის 2 საათზე ბრუნდება.

ორ წელიწადზე მეტია, რაც ახალ-სენაკსა და ზუგდიდს შუა მუდამ დღე დაიარება ომნიბუსი და დღემდინ ჩვენი ფოჩტის გამგეობა ვერ მიხვდა, რომ იქ რიგიანი ფოჩტა გაემართა, თუმცა ამისათვის იმას არც მომეტებული ხარჯი მოუნდებოდა და არც შრომა. დღემდინ ზუგდიდის მაზრისაკენ კვირაში მხოლოდ ორჯელ დაიარებოდა ფოჩტა. მადლობა ღმერთს, ახლა მაინც ეღირსენ მთელი ამ მაზრის მცხოვრებნი.

ამ გვარსავე მდგომარეობაშია მთელი ცხინვალის საპრისტავო: გორსა და ცხინვალს შუა აგრეთვე ორი წელიწადია, რაც კერძო ომნიბუსები დადის და ფოჩტის გამგეობას ვერ მოუხერხებია, რომ ამ ომნიბუსების საშუალებით უფრო რიგიანი და მუდამ დღე მიმავალი ფოჩტა გამართოს გორიდამ ცხინვალამდინ და უკან.

*
* *

კახეთიდამ გვწერენ რომ სოფელს ყურდღელაურში თელავის მაზრა, გაუხსნიათ სასოფლო ბანკი. დამფუძნებელნი წევრნი ჯერ-ჯერობით 24 კაციაო. წესდება უკვე დაუმტკიცებია მთავრობას და 1 იანვრიდგან ბანკი გაიხსნება. მოთავე ამ საქმისა, სხვათა შორის, როგორც გვაცნობენ, არის ბ. ი. როსტომაშვილიო.

*
* *

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მმართველობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ბ. მიხეილ ყიფიანმა შესწირა იმის ბიბლიოთეკას შემდეგი რვა ხელთ ნაწერი ქართული წიგნი:

1) დავით რექტორისაგან დაწერილი წიგნი, რომელიც შეიცავს მის წვრილ ლექსთ და თხზულებათა მარტის იე, წელსა ჩყკბ.

2) პოემა ბარამ გული ჯანიანი, ლექსად, იონა მღივნისაგან 1826 წ დაწერილია აშტარხანს.

3) თავადის დავით ბურაძისშვილისაგან თქმული ქართველთ-მეგვარ-ტომობის იგავი. მარტს 13 ჩყკბ წელსა.

4) დარღვევა დროჲდისა. ქრონიკონი ჩთკთ. გადამწერია ლუბერნსკი სეკრეტარი იოანე იალღუზის-ძე.

5) ჩარ-დარვიშიანი და ამბავი ჩინეთის ხელმწიფისა და ძისა მისისა მირისა. ქრონიკონი ხელნაწერისა ჩუკთ.

6) ამბავი ვისისა და რამინისა, ანუ ვისრამინი.

7) სარკე თქმულთა ანუ ღლისა და ღამის გაბაასება თქმული მეფის თეიმურაზისაგან.

8) წიგნი მრავალ-ფერ ყვავილოვანი, დაწერილი პეტრე ლარაძის მიერ.

*
* *

დღეს, 7 საათზე, საადგილ-მამულო ბანკში დანიშნულია „ვეფხის-ტყაოსნის“ გარჩევა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ფოთი**, 5 ნოემბერს. საშინლად გახშირდა ფოთში კანდრაბანდების ზიდვა; თითქმის ისე დღე არ დაღამდება, კანდრაბანდი არ დაიჭირონ. მართალია, მეკანდრაბანდეები დახელოვნებულან ამ ცუდს ხელობაში და ეზიდებიან კანდრაბანდს, ხოლო კანდრაბანდის დამჭერი პოლიციის პრისტავი ლევან გუნიაც არ არის ნაკლები დახელოვნებული და გამოცდილი კანდრაბანდების დაჭერაში; პირველი რომ ყოჩაღია და გზები იცის—საითაც ეზიდებიან კანდრაბანდებს და მეორე, იმისთანა ქუჩაზედ სახლობს, რომ, ვინც ვაგზალში მიდის ყველას ფანჯრიდგან ხედავს და თუ ვინმე აჩქარებით მიმავალი ნახა, მაშინვე დაედევნება და ვაგზალში ათვალიერებს სჩხრეკავს, კანდრაბანდს ეძებს და კიდეც პოულობს.

დღემდის რაც კანდრაბანდი დაუჭერია, სათქმელად დიდი ჯამისა არა ყოფილა-რა; ხოლო დღეს დაიჭირა ორი ყუთი კანდრაბანდი, ამისთანა

---

თ. დ. ბ. ერისთვისაგან ნათარგმნი ვიქტორიან სარდუს დრამმა **სამშობლო** „ივერიის“ მეათე წიგნშია დაბეჭდილი. იმის წარმოდგენისთვისაც ამ მოკლე ხანში ემზადება ჩვენი დასსი.

სამწუხაროდ, ამ პიესის დადგმის სურვილი იმისა ჰგავს, როგორც ზოზიერთებს ჰსურთ 200 ათასი მანეთის მოგება, თუმცა ბილეთიც კი არა აქვსთ...

შემდეგში ჩვენ გავარჩევთ—ისტორიულია ეს დრამმა, თუ ისტორიული სარჩული აქვს, როგორც საშუალება, იმისთვის, რომ გააცნოს საზოგადოებას ის მაღალი გრძნობა—სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარულისა, რომელიც გამოჩენილ ფრანცუზის მწერლის სარდუს პიესაში არის გამოხატული.

მაგრამ რაც უნდა ეცადოს კაცმა, ამ პიესას, წარმოდგენის დროს, ყოველთვის ისტორიული ხასიათი უნდა მიეცეს; მაშასადამე რომელსამე ისტორიულ ეპოქაზე უნდა იქნეს მოჭრილი; მაშასადამე საჭიროა ისტორიული ტანისამოსი და ერთი მაინც დეკორაცია—იმ დროინდელი თფილისის სურათი—განსაკუთრებით პირველს მოქმედებაში და საჭირო იქნებოდა აგრეთვე კომედიის მეექვსე სურათში, რომელიც თ. ერისთავს არ გადაუთარგმნია, მაგრამ ურომლოთაც მაყურებლის უკიდურესად აღელვებული გრძნობა განხორციელების გზას ვერ იპოვნის.

მართლაც, თუ თვალით არ ვნახეთ წამება იმ ჩვენ დიდებულ წინაპართა, რომელნიც თავის საყვარელ სამშობლოს საქართველოსათვის სისხლსა ღვრიან, სცენის ზედ-მოქმედება მაყურებლის გულზე და გრძნობაზე სრული არიქნება. თუმცა ისტორიიდამ და მატიანებიდამ ვიცით ჩვენ წინაპართა თავგანწირულება სამშობლოსათვის, მაგრამ ვერ წარმოვიდგენთ ამ თავგანწირულებას და სიკვდილს მარტო ლევან ხიმშიაშვილის სიტყვით, რომელიც ასწერს ამას პიესის მეექვსე სურათში. სისხლ -- მოყვარეობის გრძნობა როდი გვათქმევინებს ჩვენ ამას, არამედ მარტო სცენის საჭიროების მოთხოვნილება და სცენის სიმართლე.

ამას გარდა ჩვენ გვგონია, რომ სცენისათვის საჭიროა ჟეთევანი უფრო ნამდვილ ტიპად იყოს გამოყვანილი.

სარდუს პიესაში, ფრანცუზულად ჟეთევანი ესპანიელია, ფრანგის ქალი დონნა დოლორეს, რომელსაც არად მიაჩნია ქმრის სამშობლოისა და რჯულის ღალატი: ქმარია იმის აზრით, მოღალატე საკუთრად იმის (ცოლის) რჯულისა და ქმრის მტერები კი ერთმორჯულენი დოლორესისა; ამას გარდა იმის სამშობლო — ესპანია — არის სამშობლო იმის ქმრის მტერთა. მაშასადამე, როდესაც ის თავის ქმარისა და იმის მომხრეთა შეთქმულობას გამოააშკარავებს, ის ხელმძღვანელობს მხოლოდ იმით, რომ თავის საყვარელი დაიცვას და ქმარი კი გასცეს; და თუ იმას უჭირს დანარჩენ შემთქმელთა (ქმრის მომხრეთა) დასახელება, ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ დოლორეს ქალია, რაც უნდა იყოს, შემბრალებელი გული აქვს, ებრალება უმანკო მსხვერპლები, რომელნიც იმის სიყვარულს არას უშლიან.

ამ ნაკლულევანების გასწორება, ჩვენის აზრით, ადვილად შეიძლება, თუ მთარგმნელი დატყვევებულად და შემდეგ ძალა-უნებურად მონათლულ მთიულ ქალად გამოიყვანს ჟეთევანს, რომელსაც სიკვდილისაგან იხსნის ქმარი და რომელსაც აღიწყდება ამ ქმრის სიკეთე, აღიწყდება მადლობის გრძნობა, როდესაც იმის გული მხურვალე სიყვარულით აინთება.

მაგრამ რაც უნდა იყვეს, დიდი მადლობა გვმართებს თ. დ. ბ. ერისთვისა სარდუს ჩინებულ პიესის მშვენიერად გადმოღებისათვის. აღტაცებით მივესალმებით იმ ღრმა და ძლიერ გრძნობას მამულის სიყვარულისას, რომელიც მოისმის ლეონიძის, დადიანის , ლევან ხიმშიაშვილის და სხვების პირიდამ და რომელიც თვით მოქმედებაში სჩანს; აგრეთვე გოგია დიაკვნის თავ-განწირულებაში.

ვაფრთხილებთ მხოლოდ ჩვენს ანტრეპრიონერებს, რომ, თუ თავისუფალი 400-500 მან. არ ექნებათ ხელში, ისე ნუ განიზრახვენ ამ პიესის დადგმას. ძალიანაც სანატრელი რო იყოს ამ პიესის დადგმა სცენაზე, თუ საშუალება არ იქნა, თუ ხეირიანად არ იქნა სცენა მოწყობილი და კოსტიუმები ვერ იშოვნა დასმა, არც შემოსავალს უნდა მოელოდნენ და თვითონ პიესასაც გააფუჭებენ. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კეთილ-შობილ საქმეში საზოგადოება დაეხმარება ქართულ სცენას.

—

18 ნოემბერს აქტიორის ცაგარელის ბენეფისისთვის ამზადებენ თვითონ მობენეფისის კომედიის—„ერთი ნაბიჯით წინ“—დადგმას.

ჩვენ წავიკითხეთ ეს პიესა, როდესაც ის ჯერ კიდევ დასრულებული და გათავებული არ იყო; მაშინ იმას შესწორება ეჭირებოდა სცენაზე დასადგმელად და ნამდვილ ცხოვრებასთან შესადარებლად. ჩვენ არ ვიცით—როგორ გადააკეთა და გაამშვენიერა ბ. ცაგარელმა თავის პიესა; მაგრამ შრომის-მოყვარეობა ავტორისა, რომლის პიესებიც საზოგადოებას არა-ერთხელ სიამოვნებით უნახავს ჩვენს სცენაზე, და მოხდენილი აზრი, რომელზედაც განსაკუთრებით ზემოხსენებული პიესა, იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საზოგადოება კმაყოფილი დარჩება ახალ გაზდა ავტორის პიესის ნახვით?.

ჩვენ შეგვეძლო გვერჩია ბ. ცაგარელისათვის, რომ ჯერ კარგად შეამუშაოს თავის პიესები და ისე დადგას სცენაზე; მაგრამ, რადგან თან-და თან იძენს გამოცდილებას, ამის გამო, უეჭველია, წარმატებაში შევა. ისიც უნდა ვსთქვათ, ჩვენი საზოგადოება ისე გულ-გრილად უყურებს თავის ახალ-გაზდა მწერლების გაჭირებულ მდგომარეობას, რომ ამათ მხოლოდ ერთი რჩებათ: თვითონვე იზრუნონ, იწვალონ, აჩქარებით იმუშაონ და ამ გვარად საცხოვრებელი ლუკმა პური შეიძინონ...

ემბე.

განსაკუთრებით ჯერ არა დსუჭრრია; ეს ორი ყუთი უნახავს ვაგზალში, მაშინვე დამოქნის ჩინოვნიკისათვის და ჟანდარმისათვის შეუტყობინებია; რასაკვირველია, მაშინვე მოახდინეს განკარგულება, სხვა და სხვა ბეჭდით დაუბეჭდიათ, აქტი შეუდგენიათ, და ყუთები ერთს ღამეს შეუნახავთ ვაგზლის დამოქნის ტრანზიტის ჰაგხაუზში, სკლადში; მეორე დღეს დიდის ამბით და ყარაულებით, ყუთები გამოაბრძანეს დამოქნის ჰაგხაუზიდამ, სადაც დაესწრნენ დამოქნის ჩინოვნიკები, პოლიცია, ჟანდარმები და სხვა გარეშე პირნი, დიდის ამბით და საუნჯის მოლოდინით გახსნეს დაბეჭდილი ყუთები; მაგრამ რა გახსნეს, იმისთანა თქვენს მტერს, რაც ქვეყანაზედ პილწი და მყრალი რამე არის, ყველაფერი შიგ ნახეს, სიმყრალით ახლოს ველარ გაჩერდნენ.... ვინ იცის დამჭერს, რის მოლოდინი ჰქონდა, და რა აღმოუჩნდა. ნაცვლად ჯიბის გახარებისა, ორი მანეთიც ჯიბეს მოუკლდა დროგის და მუშის ფული, მაგრამ მაინც ზარალში არ არის დამჭერი, ყუთები უფრო ძვირად ღირს...

ეს ორი წელიწადია, ამისთანა კანდრაბანდები დაიწყეს; შარშან მკვდარი კაცი გააკეთეს დიდ ყუთში და წრეულსაც ეს მოუგონიათ.

მნახველი.

# განცხადებანი

მიაქციეთ ყურადღება! საკუთარ თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ერევნის მეიდანზედ, ყოველთვის ვიღებთ ჩვენგან იჯარით აღებულის სალიანის წყლებიდამ ახალ-ახალს ქიტკას, ხიზილალას, დოშს და ზურგიელს. ისყიდება ჰარტიათ და წვრილათაც. აქვე ისყიდება მოხარშული დოშეული, (5—4)

# აბონემენტი

ქართული თეატრისა

იმართება მარტო ექვსი წარმოდგენისათვის პირველ იანვრამდის 1882 წ.

ფასი დაკლებულია:

| | | |
|---|---|---|
| ლიტ. და შუა ლოჟ. | 54 მ. | —60 მ. |
| ლოჟ. № 1,2,19,20 | 30 მ. | —42 მ. |
| დანარჩენი ლოჟები | 36 მ. | —48 მ. |
| კრესლო 1 რიგისა | 15 მ. | —18 მ. |
| კრეს. 2 და 3 რიგასა | 10 50 მ. კ. | —12 მ. |
| სკამი მესამე რიგ. | 4 50 | — 6 მ. |

აბონემენტზე ხელის მოწერა შეიძლება 4 ნოემბრამდის.

ქართული თეატრის გამგენი { ვ. აბაშიძე / კ. მესხი.

# თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, ბანკის წესდების § 15 თანახმად 17 თებერვლის 1881 წლისა, ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 10-ს ამ 1881 წლისა, შუადღეზე, თფილისის ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლში, № 13, იქნება საზოგადო გასყიდვა (უპერეტორჟკოდ) იმ ქვემო-მოხსენებულ პირთა უძრავ მამულებისა, რომელთაც ბანკიდგან აღებული ვალი დანიშნულ დროზე ვერ შემოიტანეს, ბანკის წესდების § 13, 14, 15, 17, 18 და 19 მუხლებისაგან დადგენილი.

**მაღალაშვილისა**, მარიამ დიმიტრის ასული: ოთხი ორ-სართულიანი სახლი ხუთის ერთ-სართულიანის ფლიგელით და სარდაფებით, სივრცე ადგილისა 958 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-6 უჩასტკაში 1 განყოფილებისა ქალაქ თფილისში, დამოქნის ქუჩაზე. თავნი ვალი 47,269 მან. 20 კაპ., კიდევ გარდასახდელი 2,307 მან. და 60 კაპ., სულ—ორმოც-და-ცხრა ათას ხუთას სამოც-და-ათი მან. და 80 კაპ.

**სულხანოვისა**, მარიამ ივანეს ასული: ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, თან ადგილი სივრცით 276 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. თფილისში: ა) მე-7 უჩასტკაში 1 განყოფ. და ბ) მე-14 უჩასტკის 2 განყოფილებაში, ჩუღურეთში. თავნი ვალი—24,947 მან. 7 კაპ., კიდევ გარდასახდელი ვალი—1,517 მან. 90 კაპ., სულ—ოც-და-ექვსი ათას ოთხას სამოც-და-ოთხი მან. 97 კაპ.

**ციციშვილი**, გიორგი ივანეს-ძე: სახნავ-სათესი, საბალახო, სათიბი ადგილები და ტყე, სივრცით $977^1/_2$ დესიატ., თფილისის გუბ. ბორჩალოს უჩასტკაში სოფ. ახლოალოლესთან. თავნი ვალი—15,918 მან. 80 კაპ., კიდევ გარდასახადი 690 მან. 40 კაპ., სულ—თექვსმეტი ათას ექვსას ცხრა მან. 20 კაპ.

**ერისთავი**, ლუარსაბ ალექსანდრეს-ძე: სახნავ-სათესი ადგილი სივრცით 101 დესიატინა 1600 ოთხ-კუთხი საჟ., თფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტს. თავნი ვალი—1,989 მან. 85 კაპ., გარდასახადი—96 მან. 80 კაპ., სულ—ორი ათას ოთხმოც-და-ექვსი მან. 65 კაპ.

**ჩოლაყაშვილებისა**, ელენე ივანეს ასული, ელისაბედ და ნინო ილიას ასულნი: სახნავ-სათესი, საბალახე, სათიბი ადგ. და ტყე, სივრცით—3,561 დეს. 2000 ოთხ-კუთხი საჟ., თფილისის გუბ. სიღნაღის მაზრაში, სახელად ჭიაური. თავნი ვალი—79,594 მან., ამას გარდა გარდასახდელი—3,404 მან., სულ—ოთხმოც-და-ორი ათას ცხრაას ოთხმოც-და-რვა მან.

**ჯავახიშვილ-კოპაძისა**, მარიამ სოლომონის ასული: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელით ყოველის კუთვნილებით, სივრცით—116 ოთხ-კუთხი საჟ. მე-2 უჩასტკის 1 განყოფილებაში, ქ. თფილისში, დავიდოვის ქუჩაზე. თავნი ვალი—2,207 მან. 18 კაპ., გარდასახდელი—131 მან. 28 კაპ.,—სულ ორი ათას სამას ოც-და-თვრამეტი მან. 46 კაპ.

**ბურდულოვი**, ალექსანდრე სოლომონის-ძე: ორი დუქანი, ადგილი სივრცით—600 ოთხ-კუთხი საჟ. მე-11 უჩასტკის 2 განყოფილებაში, ქ. თფილისში. თავნი ვალი—2,680 მან. 68 კაპ., გარდასახადი—188 მან. 65 კაპ.,—სულ ორი ათას რვაას სამოც-და-ცხრა მან. 33 კაპ.

**ალენიკოვისა**, სალომე იაგორის ასული: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ორ-სართულიანი ქვით-კირის ფლიგელით, თან ადგილი სივრცით—88 საჟ. $1^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თფილისის 1 უჩასტკის 1 განყოფილებაში, წმ. დავითის ქუჩაზე. თავნი ვალი—3,574 მან. 23 კაპ., გარდასახდელი—202 მან. 80 კაპ.,—სულ სამი ათას შვიდას სამოც-და-შვიდმეტი მან. 3 კაპ.

**სლინკო**, ანნა ივანეს ასული: ორი ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, თან ადგილი $111^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მე11 უჩასტკის 2 განყოფილებაში ქ. თფილისში, ელისავეტოპოლს ქუჩაზე. თავნი ვალი—17,871 მან. 19 კაპ., გარდასახდელი—966 მან.,—სულ თვრამეტი ათას რვაას ოც-და-ცამეტი მან. 19 კაპ.

**ერისთავი**, ალექსანდრე პავლეს-ძე წისქვილი და სადგომი, თან ადგილი სივრცით—5610 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი—6,254 მან. 90 კაპ., გარდასახდელი—461 მან. 60 კაპ.,—სულ ექვსი ათას შვიდას თექვსმეტი მან. და 50 კაპ.

**გაბუნია**, მერაბ იაგორის-ძე: ორ-სართულიანი სახლი დუქნებით, ადგილი 125 ოთხ-კუთხი საჟ ქ. გორში. თავნი ვალი—2,680 მან. 68 კაპ., გარდასახდელი—176 მან. 31 კაპ.,—სულ—ორი ათას რვაას ორმოც-და-თექვსმეტი მან. 99 კაპ.

**მარუმოვი**, არშაკ ოლანეზის-ძე: 1) სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და 2) ორი ერთ-სართულიანი სახლი, თან ადგილი $241^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მე-14 უჩასტკის 2 განყოფ. ქ. თფილისში, ავლაბარში. თავნი ვალი—3,217 მან. 97 კაპ., გარდასახდელი—368 მან. 34 კაპ., სულ—სამი ათას ხუთას ოთხმოც-და-ექვსი მან. 31 კაპ.

**ზარაფოვი**, სტეფანე იაგორის-ძე: 1) სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სამ-სართულიანისავე ფლიგელით და 2) ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, თან ადგილი—$279^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მე-10 უჩასტკის 2 განყოფილებაში, ქ. თფილისში ვორონცოვის წყლის-პირ ქუჩაზე. თავნი ვალი—36,157 მან. 64 კაპ., გარდასახდელი—1,920 მან.,—სულ ოც-და-თვრამეტი ათას შვიდას-შვიდი მან, და 64 კაპ.

**პავლიევი**, იაკობ სიმონის-ძე: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, თან ადგილი—72 ოთხ-კუთხი საჟ. მე-5 უჩასტკის 1 განყოფილებაში ქ. თფილისში ნემეცების ქუჩაზე. თავნი ვალი—5,416 მან. 69 კაპ., გარდასახდელი—962 მან. 12 კაპ., სულ—ექვსი ათას სამას სამოც-და-თვრამეტი მან. 81 კაპ.

**ორბელოვსკის**, სალომე იოსების ასული: ერთ-სართულიანი სახლი ორ-სართულიანის ფლიგელით, სარდაფებით, ეზოთი, ბაღჩით და რიყის წყლით, თან ადგილი 160 ოთხ-კუთხი საჟ. და 8 არშ. 1 უჩასტკის 1 განყოფ. ქ. თფილისში, ერმოლოვის ქუჩაზე, № 5. თავნი ვალი—11,405 მან. 69 კაპ., გარდასახდელი—656 მან., 98 კაპ., სულ—თორმეტი ათას სამოც-და-ორი მან. და 67 კაპ.

**სლინკო**, ეკატერინა ივანეს ასული: სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი თავის ფლიგელით და სხვა შენობით, თან ადგილი—$313^3/_4$ ოთხ-კუთ. საჟ. 1 მიხაილოვის უჩასტკის 1 განყოფ., ქ. თფილისში. თავნი ვალი—25,448 მან. 35 კაპ., ამას გარდა გარდასახდელი—1,299 მან. 90 კაპ., სულ—ოც-და-ექვსი ათას შვიდას ორმოც-და-რვა მან. და 25 კაპ.

**ფუდინოვი**, ისააკ ნიკიტის-ძე: ორი სამ-სართულიანი ქვის სახლი ორის სამ-სართულიანის ფლიგელით, თან ადგილი 156 ოთხ-კუთხი საჟ. და 7 ოთხ-კუთხი არშინ. 1 უჩასტკის 1 განყოფ., ქ. თფილისში, ნორაშენის და დავითის ქუჩების კუთხეში. თავნი ვალი—16,965 მან. 57 კ., ამას გარდა გარდასახადი—1518 მ. 20 კ.,სულ—თვრამეტ ათას ოთხას ოთხმოც-და სამი მან. და სამოც-და-ჩვიდმეტი კაპ.

**შჩერბაკოვი**, ერისტრატ მაქსიმეს-ძე და ავდოტია აგაფონის ასული: ორ-სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, მასთან მიწა $144^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მე-10 უჩასტკის 1 განყოფ., ქ. თფილისში. თავნი ვალი 1,452 მან. 93 კაპ. ამას გარდა გარდასახდელი 83 მან. 58 კაპ. სულ—ათას-ხუთას ოც-და-თექვსმეტი მან. და ერთი კაპ.

**ციციშვილი**, დავით ივანეს-ძე: ნაკვეთი მიწა სივრცით 300 ოთხ-კუთხი საჟ., მე-11 უჩასტკის 2 განყოფ., ქ. თფილისში. თავნი ვალი—1,162 მან. 35 კ.. ამას გარდა გარდასახადი 120 მან. 19 კაპ. —სულ ათას-ორას ოთხმოც-და-ორი მან. და ორმოც-და-ოთხი კ.

**თუმანოვისა**, ბაბალე ივანეს ასული, აპეკუნი: სახნავ-საპალახე ადგილები და ტყე, სივრცით 292 დესიატ. 1502 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. წოდრეში. თავნი ვალი 6881 მან. 47 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 302 მან. 19 კაპ. სულ—შვიდი ათას ას ოთხმოც-და-სამი მან. და სამოც-და-ექვსი კაპ.

**საგინოვი**, მიხეილ პაატას-ძე: სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 2074 დესიატ. და 420 ოთხ-კუთხი საჟ., თფილისის გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ახალდაბა, ზემო ხედაშენი და ახმაანი. თავნი ვალი 13,726 მან. და 69 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 714 მან. 54 კაპ., სულ—თოთხმეტი ათას ოთხას ორმოც-და-ერთი მ. ოც-და-სამი კაპ.

**ერისთავი, კონა მარიმანოზის-ძე**: სახნავი, სამოსახლო ადგ და ტყე, სივრცით 1009 დესიატ. თფილისის გუბ., დუშეთის მაზრ., სოფ. წოლდო. თავნი ვალი 6,373 მან. და 1 კაპ. ამას და გარდა გარდასახადი 427 მან. 56 კაპ. სულ—ექვსი ათას რვაას მან. ორმოც-და-ჩვიდმეტი კაპ.

**სალაგოვი, იესეი ქაიხოსროს-ძე**: სახნავ-სათიბი ადგილები, სივრცით 25 დესიატ. 1620 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ., და მაზრაში, სოფ. კუმისი. თავნი ვალი 982 მან. 25 კაპ. ამას გარდა გადასახადი 53 მან. 9 კაპ. სულ—ათას ოც-და-ხუთმეტი მან. ოც-და-თოთხმეტი კაპ.

**ერისთავნი: რაფიელ და იოსებ დავითის-ძენი**: სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, სივრცით 900 დეს., თფილისის გუბ. თიონეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმა. თავნი ვალი—5,304 მან. 20 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 233 მან. და 79 კაპ. სულ—ხუთი ათას ხუთას ოც-და-შვიდმეტი მან. და ოთხმოც-და-ცხრამეტი კაპ.

**ერისთავი, გიორგი გიორგის-ძე**: სახნავ-სათესი ადგილება და ტყე, სივრცით 800 დეს. თფილისის გუბ., თიონეთის მაზრა, სოფ. ბოჭორმა. თავნი ვალი—4,714 მან. და 99 კაპ, ამას გარდა გარდასახადი 283 მან. 92 კაპ. სულ—ოთხი-ათას ცხრაას ოთხმოც-და-თვრამეტი მან. 91 კაპ.

**შალიკაშვილნი, კოსტანტინე როსტომის-ძე, ნიკოლოზ, გიორგი, მიხეილ და მართა დიმიტრისანი და სალომე პანტელეის ასული**: სახნავ-სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე სივრცით—1447 დეს. 229 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ., გორის მაზრა, სოფ. სკრა. თავნი ვალი—32,414 მან. 59 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 1367 მან. 49 კაპ. სულ—ოც-და-ცამეტი ათასი შვიდას ოთხმოც-და-ორი მან. რვა კაპ.

**გაბაშვილი, ანდრია მიხეილის-ძე**: სახნავ-საბალახე ადგილები, სივრცით 106 დეს. 320 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ. და მაზრა, სოფ. ერთისი. თავნი ვალი—4911 მან. 30 კაპ., ამას გარდა გარდასახადი—217 მან. 39 კ. სულ ხუთი ათას ას ოც-და-რვა მან. სამოც-და-ცხრა კაპ.

**ამილახვარი, ივანე თეიმურაზის-ძე**: სახნავი და საბალახე ადგილები, სივრცით 151 დეს. 1756 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ., გორის მაზრა, სოფ. ნაწრეტი. თავნი ვალი—3437 მან. 82 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 167 მან. 82 კაპ. სულ—სამი ათას ექვსას ერთი მან. და სამოც-და-ოთხი კაპ.

**შალიკაშვილი, იოსებ ივანეს-ძე**: სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 270 დეს. თფილისის გუბ., სიღნაღის მაზრა, სოფ. ბურჯაანი. თავნი ვალი 4911 მან. 28. კაპ., ამას გარდა გარდასახდელი 321 მან, 63 კაპ. სულ ხუთი ათას ორას ოც-და-თოთხმეტი მან. და ოთხმოც-და-თერთმეტი კაპ.

**ბარათაშვილნი, იოსებ, გიორგი, დავით, მარიამ და ბარბალე ივანესანი**: სახნავ-სათიბი და სამოსახლო ადგილი, სივრცით 536 დეს. 1920 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ. და მაზრა, სოფ. ქაშარლ . თავნი ვალი 5914 მან. 10 კაპ., ამას გარდა გარდასახადი—388 მან. 16 კაპ. სულ—ექვსი ათას სამას ორი მან. ოც-და-ექვსი კაპ.

**თარხან-მოურავისა, მარიამ ბიძინას ასული**: სახნავ-სათიბი ადგილები და ტყე, სივრცის 545 დეს. 1645 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ. გორის მაზრა, სოფ. სათუხარლო. თავნი ვალი 6603 მან. 93 კაპ., ამას გარდა გარდასახდელი 344 მან. 80 კაპ. სულ—ექვსი ათას ცხრაას ორმოც-და-რვა მან. სამოც-და-ცამეტი კაპ.

**ამილახვარი, ამირიდონ ამირიდონის-ძე**: სახნავ-სათიბი ადგილები, სივრცით 145 დეს. 1756 ოთხ-კუთხი საჟ., თფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ ნაწრეთი. თავნი ვალი 2,957 მან. ერთი კაპ., ამას გარდა გარდასახადი 170 მან. 40 კაპ., სულ—სამი ათას ას ოც-და-შვიდი მან. ორმოც-და-ერთი კაპ.

**ალექსეევ-მესხიევი, მიხეილ დიმიტრის-ძე**: სახნავ-სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, სივრცით 178 დეს. 840 ოთხ-კუთხი საჟ., თფილისის გუბ., და მაზრა, სოფ. ახალდაბა. თავნი ვალი 3898 მან. 40 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 181 მან. 60 კაპ. სულ—ოთხი ათას ოთხმოცი მან.

**ერისთავი, გიორგი გიორგის-ძე**: სახნავ-საბალახე და სამოსახლო ადგილები და ტყე, სივრცით 284 დეს. 1263 ოთხ-კუთხ საჟ., თფილისის გუბ. თელავის მაზრა, სოფ. ქისტაური. თავნი ვალი 7796 მან. 81 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 470 მან. 40 კაპ. სულ რვა ათას ორას სამოც-და-შვიდი მან. ოც-და-ერთი კაპ.

**მაღალოვისა, მარიამ დიმიტრის ასული**: სახნავ სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, სივრცით 2867 დეს. 562 ოთხ-კუთხ-საჟ. თფილისის გუბ. და მაზრა სოფელთ; ჭოჭკანი, ქვემოდ-სოფი, თოხლაკინცა, არაბატაგა, პალიან-ტაკიან, ბალიტალა, ხუჯაბა, ლიანვარის საბალახონი, ხუდიბანა და ბულიბაგა. თავნი ვალი 49,042 მან. 19 კა. ამას გარდა გარდასახადი 2132 მან. სულ-ორმოც-და-თერთმეტი-ათასი-ას-სამოც-და-თერთმეტი მან. ცხრამეტი კაპ.

**ციციშვილი, კირილე ელიზბარის-ძე**: სახნავ-საბალახე ადგილები და ტყე სივრცით 847 დეს. 600 ოთხ-კუთხი საჟ., თფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. ახლალალუ (იგივე-მამაი). თავნი ვალი სულ 59,693 მან. 50 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 690 მან. 40 კაპ. თექვსმეტი ათასი სამას ოთხმოც-და-სამი მან. ოთხმოც-და-ათი კაპ.

**სალაგოვი, იესე ქაიხოსროს-ძე**: სახნავ-სათიბი და საბალახე აგილები და ტყე, სივრცით 212 დეს. 150 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ. და მაზრა, უდაბ. მონასტერი. თავნი ვალი 1967 მან. 66 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 96 მან. 80 კაპ. სულ ორი ათის სამოც-და-ოთხი მან. ორმოც-და-ექვსი კაპ.

**ორბელიანი-ჯამბაკურიან, ალექსანდრე ივანეს-ძე**: სახნავ-საბალახე ადგილები, სივრცით 2189 დეს, 1987 ოთხ კუთხი საჟ. თფილისის გუბ. და მაზრა, სოფ. წილკანაური, კასაიარი და ბაშკიჩეტი. თავნი ვალი 34,434 მან. 2 კაპ. ამას გარდა გარდასახადი 1977 მან. 27 კაპ. სულ ოც-და-თექვსმეტი ათასი-ოთხას-თერთმეტი მან. ოც-და-ცხრა კაპ.

**გახვახოვისა, ეკატერინე გიორგის ასული**: სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 308 დეს. 555 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ., თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლი. თავნი ვალი 2951 მან. 48 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 273 მან. 60 კაპ., სულ სამი-ათას-ორას-ოც-და-ხუთი მან. რვა კაპ.

**ქარუმიძე, ივანე პაატის-ძე**: სახნავი ადგილები, სივრცით 34 დეს. 1320 ოთხ-კუთხი საჟ., თფილისის გუბ., გორის მაზრა, სოფ. ტორთისი. თავნი ვალი 983 მან. 83 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 54 მან. 40 კ. სულ-ათას-ოც-და-თვრამეტი მან. ოც-და-სამი კაპ.

**მელიქოვი, მიხეილ ივანეს-ძე**: სახნავ-საბალახე ადგილები და ტყე; სივრცით 1041 დეს. 500 ოთხ-კუთხ. საჟ. თფილისის გუბ. და მაზრა, სოფ. არაბათალა, პალიან-ტაკიან, ხუჯაბა, მელინაშენი, თეთური და სხვა. თავნი ვალი 7893 მან. 82 კაპ, ამას გარდა გარდასახადი 533 მან. 60 კაპ. სულ-რვა-ათას-ოთხას-ოც-და-შვიდა მან. და ორმოც-დი-ორი კაპ.

**მაყაშვილები, გიორგი რევაზის-ძე და ზურაბ ივანეს-ძე**: სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 660 დეს. 1800 ოთხ-კუთხ საჟ., თფილისის გუბ. თიანეთის მაზრა, სოფ. ბოტკო. თავნი ვალი 11.874 მან. 49 კაპ., ამას გარდა გარდასახადი 1046 მან. 74 კაპ. სულ თორმეტი-ათას-ცხრაას-ოც-და ერთი მან. ოც-და-სამი კაპ.

**შალიკოვისა, ეკატერინე პაატას ასული**: სახნავი ადგილები და ტყე, სივრცით 130 დეს., თფილისის გუბ. სიღნაღის მაზრა, სოფ. ვეჯინი, ბურჯაანი და ნაურთალი. თავნი ვალი 3850 მან. 22 კაპ. ამას გარდა გადასახადი 241 მან. 12 კაპ. სულ ოთხი ათას ასი მან. ოც-და თორმეტი კაპ.

**ორბელიანები, გრიგოლ და ივანე კოსტანტინეს-ძენი**: სახნავ-სათესები ადგილები და ტყე, სივრცით 731 დეს. 1570 ოთხ კუხ საჟ. თფილის. გუბ. და მაზრა სოფ. კიზილ-აჯილო (იგივე იფნარა და თამას-კულას-ობა) და საჯა. თავნი ვალი 6926 მან. 79 კაპ. ამას, გარდა გარდასახადი 308 მან. 80 კაპ. სულ—შვიდი ათას ოც და ხუთმეტი მან. ორმოც-და-ცხრამეტი კაპ.

**მაღალოვისა, ნინო სარიდანის ასული**: ვენახი სივრცით 6 დეს. თფილისის გუბ. სიღნაღის მაზრა, სოფ, ბაკურციხე. თავნი ვალი 1700 მან. ამას გარდა გარდასახადია 84 მან 80 კაპ. სულ ათას შვიდას ოთხმოც და ოთხი მან. ოთხმოცი კაპ.

**ავალიშვილი, სიმონ ივანეს-ძე**: ვენახი სივრცით 2 დეს. თფილისის გუბ., სიღნაღის მაზრა, სოფ. ჩუმლაკი. თავნი ვალი 2000 მან. ამის გარდა გარდასახადი 65 მან. სულ ორი ათას სამოც და ხუთი მან.

**გახვახოვი, ზაქარია ივანეს-ძე**: ვანახი, ზომით შვიდი 7 დესიატ. 128 ოთხ კუთხი საჟენი. თფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. კურდღელაურში. თავნი ვალი 2000 მან. კიდევ გადასახადი 143 მან 84 კაპ. სულ ერთიანად ორი ათას ას ორმოც და სამი მანეთი, ოთხმოც და ოთხი კაპეიკი.

**რუსიევისა ელისაბედ ივანეს ასული**: საბალო და სამოსახლო მიწა ზომით 1470 ოთხ კუთხი საჟ. თფილისის გუბ., თელავის მაზრა, სოფ. კურდღელაურში. თავნი ვალი 500 მან. კიდევ გადასახადი 33 მან. 20 კაპ, სულ ერთიანად ხუთას ოც და ცამეტი მან. და ოცი კაპ.

**მკალავიშვილნი: სერგეი და ალა ვართანოვის-ძენი** ვენახი და ბაღი ზომით ნახევარი დესიატინა თფილისის გუბ., დუშეთის მაზრაში, სოფ. მუხრანში. თავნი ვალი 600 მან. კიდევ გადასახადი 37 მან. 44 კაპ. სულ —ვალია: ექვსას-ოც-და-ჩვიდმეტი მან. ორმოც-და ოთხი კაპ.

**კალატაურა გიორგი ივანეს-ძე**: ვენახი ზომით 1 დესიატ. თფილისის გუბერ. და მაზრაში, სოფ. დილომში. თავნი ვალი 700 მან. კიდევ გარდასახადი 47 მან. სულ—ვალი შვიდას-ორმოც და შვიდი მანეთი.

**ნახუცრიშვილი, ლუკა ივანეს-ძე**: ვენახი და შენობები ზომით 8 დესიატ. თფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ ყარაბულახში. თავნი ვალი 700 მან. გარდასახადი 54 მან. სულ—ვალი: შვიდას-ორმოც-და-თოთხმეტი მანეთი.

**რუსიევისა სოფიო ნიკოლოზის ასული**: ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი თავისი შენობებით, ზომით 264 ოთხ კუთხი საჟ. ქალაქ თელავში. თავნი ვალი 400 მან. გარდასახადი 60 მან. სულ.—ვალი ოთხას-სამოცი მანეთი.

**იეგოროვი, ივანე ივანეს-ძე**: ხეხილის ბაღი და ვენახი შენობებით, ზომით 678 და ორი მესამედი ოთხ კუთხი საჟენი, 10 უჩასტკაში, 2 განყოფილებაში ქალაქ თფილისში ნაბერეჟნის ქუჩაზე № 29. თავნი ვალი 2000 მან. გარდასახადი 132 მ., სულვალი ორი-ათას-ას-ოც-და- ათი მათნთი.

გასყიდვა ამ მამულებისა, ბანკის წესდების § 18 ძალით, დაიწყება ზემოხსენებულ ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება გარდასახადი საეროდ და ხარჯისა.

თავნი ვალი ბანკისა შეიძლება გადახდილ იქმნეს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით მანეთით მანეთი, შეიძლება აგრეთვე ბანკმა ვალი მამულის მყიდველზე გადაიტანოს; ვადაზე შემოსატანი ფული და სხვა გარდასახადი ნაღდ ფულად უნდა იქმნეს ბანკში შეტანილი.

თუ დანიშნულ დროს, ამ წლის 10 ქრისტეშობისთვეს, ვერ გაისყიდა გასასყიდლად დანიშნული მამულები, ამ შემთხვევაში, ბანკის წესდების § 21-ის ძალით, მეორე და უკანასკნელად დაინიშნება ვაჭრობა (ტორგი) 24 დეკემბრისათვის.

ბანკის წესდების §16-ის ძალით, ვალის ამღებს უფლება აქვს ვალს გარდა რაც გადასახადი ხვდება თავის სარგებლითა ვადაზე შემოუტანლობისათვის და აგრეთვე სხვა ხარჯიც, რაც იმის მამულს გასასყიდლად დანიშვნისათვის დაეხარჯა ბანკს, გასყიდვის (ტორგის) დღემდინ შემოიტანს ბანკში.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი